მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის განცხადება

ჩვენი კავშირის გარშემო განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: მშობელთა კავშირის ქმედებებში არასდროს ყოფილა მოწოდება ძალადობისკენ. ჩვენი პრინციპებია – შეგონება, დაფუძნებული ეკლესიის სწავლებაზე და ზნეობრიობაზე, ქმედება, დაფუძნებული კანონიერებაზე და სამართლებრივ მეთოდებზე. თვით ამ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენების დროსაც: არ ვუპირისპირდებით პიროვნებებს, არამედ – მოვლენებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი რწმენის, ეროვნულობისა და ზნეობრიობის წინააღმდეგ.

ჩვენი კავშირის მოღვაწეობა განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილითაც, რითაც ამ პაქტზე ხელმომწერი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ მშობელთა თავისუფლებას უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად.

ტელეკომპანია "კავკასიაში" განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენი ორგანიზაციის მისამართით გაკეთებული განცხადებები, რეპორტაჟები თუ სიუჟეტები მიმართული იყო საზოგადოებაში ჩვენდამი უარყოფითი გაწყობილების შესაქმნელად. შეიქმნა ისტერიული და არასამართლებრივი ფონი, რაც ხელს უწყობდა მასმედიის, ორგანიზაციებისა და საზოგადოების გარკვეულ წარმომადგენელთა მიერ, გამოძიების დაწყებამდე, აპრიორული შეფასებების გაკეთებასა და კლიშეების მიწებებას, იმას, რომ მშობელთა კავშირის წარმომადგენელები არიან კრიმინალები, არიან დასაჭერები. მეტიც, მსგავსი განცხადებები კეთდებოდა გადაცემა "ბარიერის" მსვლელობისას, მანამ, სანამ "ინციდენტი" დაიწყებოდა.

უდანაშაულობის პრეზუმციის ამგვარი დარღვევა არის დემოკრატიის ელემენტალური პრინციპების ხელყოფა, არის ძალადობა და მცდელობა ზემოქმედება მოახდინოს გამოძიების მსვლელობასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

ამისგან განსხვავებით ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, რათა ხელი შევუწყოთ სამართალდამცავ ორგანოებს ობიექტური გამოძიების წარმართვისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ საქმე არა გვაქვს დევნასთან და ჩვენი რელიგიური და ზნეობრივი უფლებების ხელყოფასთან. რადგანაც აღნიშნული უფლება გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით, სადაც პირდაპირ წერია, რომ თავად სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე კანონით შეზღუდოს თვით ისეთი რელიგიის და მოძღვრებათა აღმსარებლობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს, მოსახლეობის

ჯანმთელობას ან ზნეობრიობას ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას.

ჩვენი ქმედებები სავსებით შეესაბამება ამ სამართლებრივ ნორმებს და პრინციპებს, რათა არ დავუშვათ ჩვენი შვილების გარყვნა და ახალი მოძღვრებების გავრცელება, რომლებიც მიმართულია მომავალი თაობის ზნეობრიობის მოშლისა და სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ. და თუ ამ ეტაპზე სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამგვარ დაცვას, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოება ვალდებულია თავად დაიცვას მომავალი თაობა.